ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2773022

ნომერი: AR1427729

თარიღი : 29.07.2016

გაცემის თარიღი : 19.08.2016

გაცნობის თარიღი : 19.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მექანიზაცია , N 1 , თორნიკე ერისთავის ქუჩაზე შ.პ.ს. "ბერი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა მექანიზაცია , N 1 , მიმდებარედ , ნაკვეთი 02/038 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- ავტოსამრეცხაო
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოსამრეცხაო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ყიფშიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენი საკითხი ავტოსამრეცხაოს მშენებლობის მიზნით ესკიზის წინასწარ შეთანხმების შესაძლებლობის თაობაზე

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ შემდეგს : თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.12.12.002.041 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) – ში.,რომელშიც მოქმედი კანონმდებლობით ავტოსამრეცხაოს განთავსება არ არის დასაშვები. საჭიროა შეარჩიოთ მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისი სახეობა და თუ სპეცნებართვით დაშვებული ფნქციის განვითარება გინდათ დამატებით უნდა წარმოადგინოთ დასაბუთებაც, რის შემდგომაც საკითხი განხილული იქნება ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულიების საკითხთა კომისიაზე, რის თაობაზეც პასუხი თქვენი AR1414256 განცხადების პასუხად უკვე გეცნობათ სამსახურის მიერ № 2682151 გადაწყვეტილებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის პოზიცია თქვენს საკითხთან დაკავშირებით უცვლელია და მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.